



კავკასიის
საერთაშორისო
უნივერსიტეტი
CAUCASUS
INTERNATIONAL
UNIVERSITY

კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტი



წლიური ანგარიში
2021

სარჩევი

რაოდენობრივი მაჩვენებლები - 2021	3
პროგრამები	3
სტუდენტები	4
აკადემიური პერსონალი.....	5
ხარისხის უზრუნველყოფა	6
სამეცნიერო კვლევები.....	9
ინტერნაციონალიზაცია	13
უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების სამსახური	19
კონტრიბუცია.....	22
მულტიმედია ცენტრის შემეცნებითი პროექტები	24
სტუდენტური ცხოვრება	25
ბიბლიოთეკა.....	27
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	30
სამართლის ფაკულტეტი	32
მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტი	34
ბიზნესის ფაკულტეტი	36
მედიცინის ფაკულტეტი	38



რაოდენობრივი მაჩვენებლები - 2021

პროგრამები

აკრედიტებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები - 8



1. მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
3. ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
4. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
5. ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
6. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
7. ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
8. ქართული მევენახეობა-მელვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.

აკრედიტებული ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები - 4

1. მედიცინის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;
2. მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;
3. სტომატოლოგიის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;
4. სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა.

აკრედიტებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები - 6

1. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
3. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
4. საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
5. მედიის კვლევებისა და მულტიმედია წარმოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
6. ქართული მევენახეობა-მელვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

აკრედიტებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები - 4

1. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
3. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
4. მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

ავტორიზებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები - 1

1. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

ავტორიზებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები - 2

1. საერთაშორისო მარკეტინგის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

სტუდენტები

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში 2021 წლის პირველი სექტემბრის მდგომარეობით საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე **3154** აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.

2021 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა 447 სტუდენტს.

2021-2022 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხა 427, საერთო სამაგისტრო გამოცდებით 172, ხოლო სადოქტორო პროგრამებზე (შიდა გამოცდები) – 51 სტუდენტი.

ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხვა

#	საგანმანათლებლო პროგრამა	გამოცდების ეროვნული ცენტრის სიებით ჩარიცხული
1.	ფინანსები	8
1.	მენეჯმენტი	16
2.	ტურიზმი	15
3.	სამართალმცოდნეობა	64
4.	საერთაშორისო ურთიერთობები	40
5.	ჟურნალისტიკა	35
6.	მედიცინა	109
7.	სტომატოლოგია	30
8.	ფარმაცია	16
9.	მედიცინა (ინგლისურენოვანი)	6
10.	ქართული მევენახეობა-მელვინეობა	84
11.	ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)	4
	ჯამი	427

საერთო სამაგისტრო გამოცდებით ჩარიცხვა

#	პროგრამა	ჩარიცხულთა რაოდენობა
1	სამართლის სამაგისტრო	70

2	გლობალური პოლიტიკის და უსაფრთხოების კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო	4
3	საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო	32
4	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო	15
5	საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო	18
6	ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო	29
7	მედიის კვლევებისა და მულტიმედია წარმოების სამაგისტრო პროგრამა	4
ჯამი		172

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე დოქტორანტთა ჩარიცხვა

#	პროგრამა	ჩარიცხულთა რაოდენობა
1	სამართლის სადოქტორო	15
2	პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო	17
3	მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო	12
4	ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო	7
ჯამი		51

აკადემიური პერსონალი

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი	რაოდენობრივი მაჩვენებელი
აკადემიური პერსონალი	190
- პროფესორი	33
- ასოცირებული პროფესორი	115
- ასისტენტ-პროფესორი	37
- ასისტენტი	13
აფილირებული აკადემიური პერსონალი	144
- აფილირებული პროფესორი	23
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	83
- აფილირებული ასისტენტ-პროფესორი	33

- აფილირებული ასისტენტი	5
უცხოელი პერსონალი (არსებობის შემთხვევაში)	1
- სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	1
- კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	0
მოწვეული პერსონალი	172

ხარისხის უზრუნველყოფა

2021 წელს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობდა შემდეგი მიმართულებებით:

- მოქმედი პროგრამების განმეორებითი და ახალი პროგრამების აკრედიტაციისთვის მზადება;
- სააკრედიტაციოდ წარსადგენი პროგრამების, სილაბუსების, თვითშეფასების ანგარიშებისა და თანმდევი დოკუმენტების მომზადება;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის ამაღლება და მათი მიახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან;
- პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ გაუხის მეთოდით მომზადებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და მათი გაანალიზება;
- ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან პროგრამებისა და სილაბუსების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით პროფესორ-მასწავლებელთა დატრენინგება;
- სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებში პროფესორ-მასწავლებელთა დატრენინგება და ამ მიმართულებით სილაბუსების განახლება;
- უახლესი ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურითა და სასწავლო მასალებით სილაბუსების განახლება;
- ახალი პროგრამებისთვის სწავლის შედეგების მექანიზმების შექმნა;
- მოქმედი პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშების მომზადება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ონლაინ სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის გამოკითხვის სპეციალური ფორმების შემუშავება და პროგრამაში ჩართული დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები) გამოკითხვის შედეგების გაანალიზება;

- ონლაინ სწავლების პროცესის შესაფასებლად ფაკულტეტების თანამშრომელთა გამოკითხვა და გაანალიზება;
- სტუდენტების ონლაინ გამოკითხვების შედეგების შეფასება და ანალიზი;
- აკრედიტაციის ვიზიტების ორგანიზება;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დანერგვა და განვითარება;

კვლავ ძალაში რჩება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი ამოცანა:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო დონეზე ახორციელებს სწავლა-სწავლების, კვლევის, ინსტიტუციური ეფექტიანობის ხარისხის უზრუნველყოფას. მისი მიზანია უნივერსიტეტში მოქმედი ყველა სტრუქტურული ერთეულის ჩართვა ხარისხის შიდა მექანიზმების გამართულ მუშაობაში, რაც კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

2021 წლის შედეგები ასეთია:

- სამართლის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა 7 წლის ვადით განმეორებითი აკრედიტაცია;
- სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა 7 წლის ვადით განმეორებითი აკრედიტაცია;
- მედიცინის ქართულენოვან პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა განმეორებითი აკრედიტაცია;
- მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამას, როგორც ახალს, 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია;
- გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების ახალ, ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამას უნივერსიტეტის ავტორიზაციის დარჩენილი ვადით (2024 წლის 20 ნოემბრამდე) მიენიჭა ავტორიზაცია.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ დადებითად იქნა შეფასებული:

სტომატოლოგიის ქართულენოვანი; გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამების რეკომენდაციების შესრულების ანგარიშები და დასრულდა ადმინისტრაციული წარმოება.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ დადებითად იქნა შეფასებული მენეჯმენტის, ფინანსებისა და ფარმაციის საბაკალავრო პროგრამების გეგმური და არაგეგმური მონიტორინგის შედეგად უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი მასალები და აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნების საფუძველზე შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება.

2021 წელს განმეორებითი აკრედიტაციის მიზნით მომზადდა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილ იქნა:

1. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა, სილაბუსები, თვითშეფასების ანგარიშები და თანმდევი დოკუმენტაცია;
2. ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა, სილაბუსები, თვითშეფასების ანგარიშები და თანმდევი დოკუმენტაცია;
3. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, სილაბუსები, თვითშეფასების ანგარიშები და თანმდევი დოკუმენტაცია.

დისტანციური, ელექტრონული სწავლების პროცესი

2020 წლის თებერვალში, ქვეყანაში შექმნილი ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ონლაინ სწავლების რეჟიმზე გადავიდა. შესაბამისად, შემუშავდა ონლაინ სწავლების წესი. აღნიშნულ წესში დეტალურად გაიწერა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ელექტრონული სწავლებისას, რომელიც მოიცავს:

- ა) ინსტიტუციურ მხარდაჭერას;
- ბ) ელექტრონული სასწავლო კურსების შემუშავებას;
- გ) ელექტრონული სასწავლო კურსების სტრუქტურას;
- დ) ელექტრონული სწავლების პერიოდში სწავლებისა და სწავლის პროცესს;
- ე) ელექტრონული სწავლების პერიოდში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებული, პროფესორის მიერ დაგეგმილი ფორმებითა და კრიტერიუმებით სტუდენტთა გამჭვირვალე შეფასებას; ასევე შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარების პროცესს;
- ვ) ფაკულტეტის მხრიდან აკადემიური, მოწვეული და პროგრამების განხორციელებაში ჩართული დამხმარე პერსონალის მხარდაჭერასა და ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით მათი სავალდებულო ტრენინგით უზრუნველყოფას;
- ზ) სტუდენტთა მხარდაჭერასა და ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით საჭირო ინსტრუქციებითა და წესებით მათ უზრუნველყოფას;
- თ) ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურების შეუფერხებლად და გამართულად ფუნქციონირების ხელშეწყობას;
- ი) ელექტრონული უსაფრთხოების ზომებს.

უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების პროცესის შეფასებას ახდენს: სტუდენტი, პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. შემუშავდა სპეციალური კითხვარები და ჩატარდა სტუდენტთა, პროგრამის ხელმძღვანელთა და პროფესორთა გამოკითხვები.



სამეცნიერო კვლევები

კსუ-ს მეცნიერების მიერ საერთაშორისო ფონდებიდან მოზიდული გრანტები და მომზადებული პროექტები

- ✓ სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა, ვახტანგ მაისაიამ სამაგისტრო პროგრამის განსახორციელებლად მოიპოვა საგრანტო დაფინანსება. დონორი ორგანიზაციაა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრი უკრაინაში (science and technology center in Ukraine “STCU” <http://www.stcu.int/>), პროექტის ხანგრძლივობა: 2 წელი - 1/08/2020- 01/08/2022. პროექტის ბიუჯეტი: 66525 ევრო. პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამაგისტრო პროგრამაა: გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევები (Master’s Degree Program in Global Policy and Security Studies).
- ✓ ბიზნესის ფაკულტეტის აფილირებულმა პროფესორმა - გიორგი კეპულაძემ მონაწილეობა მიიღო სასწავლო-კვლევით პროექტში ჩეხეთის ტომას ბატას უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩეხეთის განათლების სამინისტროს დაფინანსებით და კსუ-ს თანადაფინანსებით, 2021 წლის თებერვალი-მარტში. გრანტით დაფინანსდა ჩეხეთში კვლევის ჩატარება და საცხოვრებელი ხარჯები, ხოლო კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა გამოყო თანადაფინანსება მგზავრობის ხარჯების ასანაზღაურებლად.
- ✓ სამართლის ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა - ბექა ქანთარია მოიპოვა გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის DAAD-ის 1 თვიანი სტიპენდია კონსტიტუციონალიზმის დარგში, რომლის ფარგლებშიც კვლევითი ვიზიტით გაემგზავრა იენის უნივერსიტეტში 2021 წლის 1-30 ივლისს. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციონალიზმი სამართლის ფაკულტეტის კვლევითი პრიორიტეტია, რომლის ფარგლებშიც ბექა ქანთარია უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ტრილოგიის ერთ-ერთი თანაავტორია. ამ მიმართულებით საერთაშორისო კონტაქტების განვითარება ხელს უწყობს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციას დარგში მოწინავე კვლევით ცენტრებთან.

კსუ-ს მეცნიერების მიერ ადგილობრივი ფონდებიდან მოზიდული გრანტები

- ✓ YS-21-1302 - ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა - შორენა ქურდაძემ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2021 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში გაიმარჯვა კვლევითი პროექტით - კულტურული და გეოგრაფიული დისტანციის გავლენა საერთაშორისო შესაძლებლობების იდენტიფიკაციაზე ქართულ მცირე და საშუალო საწარმოებში. პროექტის ბიუჯეტია 53750 ლარი, განხორციელების პერიოდი 2021-2023 წლები.
- ✓ MR-21-498 - მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის მაგისტრანტმა სანდრო საბაშვილმა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2021 წლის მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსში გაიმარჯვა თემით - „ვაზის ქართული სელექციური

ჯიშების ამპელოგრაფიული აღწერა და სამეურნეო მახასიათებლების შესწავლა“. პროექტის ბიუჯეტია 6000 ლარი, საიდანაც კსუ-ს თანადაფინანსებაა 500 ლარი. განხორციელების პერიოდი 2021-2023 წლები.

კსუ-ს მეცნიერების მიერ გამოქვეყნებული სტატიები scopus, web of science და ERIH plus ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში

2021 წელს web of science, SCOPUS და ERIH+ ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში გამოქვეყნდა 14 სტატია.

2021 წელს გამოიცა ტრილოგიის მეორე, ათასგვერდიანი ტომი - „საკონსტიტუციო იდეები და პროცესები ქართულ პუბლიცისტიკაში - ბრძოლა კონსტიტუციური დემოკრატიისათვის (1990-1995)“. კრებულის კონცეპტუალური გააზრება, შესავალი წერილი და სამეცნიერო რედაქცია ეკუთვნის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორს - მინდია უგრეხელიძეს, ხოლო პროექტის ავტორი და ხელმძღვანელია ასოცირებული პროფესორი, ბექა ქანთარია

სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მხარდამჭერი ღონისძიებები და განხორციელებული აქტივობები

- ✓ 1 ოქტომბერს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და „დუბლინ სიტი უნივერსიტეტის“ (Dublin City University) ორგანიზებით, საერთაშორისო კონფერენცია „ონლაინ დეზინფორმაციის რეგულირება: კომპარატიული პერსპექტივები“ ონლაინ ფორმატში გაიმართა. ძირითადი მომხსენებლები იყვნენ: ეუთოს მედიის თავისუფლების წარმომადგენლის უფროსი მრჩეველი, დოქტორი ანდრეი რიხტერი და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსი - სესილი გოგიბერიძე;
- ✓ კონფერენციაზე მოხსენებებით წარდგინეს: დოქტორი კლარა იგლესიას-კელერი, მედიის კვლევების ლაიბნიცის ინსტიტუტი, გერმანია; დოქტორი ჯოვანი ზაგნი, პოლიტიკური ფაქტ-ჩეკინგ პროექტის Pagella Politica-ს დირექტორი, იტალია; ეილინ ქალოტი, Dublin City University-ს კომუნიკაციების სკოლის ასისტენტ-პროფესორი, ირლანდია;
- ✓ კონფერენციაზე მრგვალი მაგიდის ფორმატში მოხსენებებით წარდგინეს: სერგი ჯორბენაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, უშანგი ზახტაძე, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პროფესორი - ნინი შენგელია - კსუ-ს სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი. კონფერენციას მოდერატორობა გაუწია პროფესორმა ედოარდო კელესტემ (Dublin City University, ირლანდია) და მარიამ შარანგიამ (University of Sussex-ის (ინგლისი) მაგისტრი);
- ✓ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსით დაფინანსებული პროექტის - „ფარმაკორეზისტენტული ეპილეფსიების დროს ეპილეფსიური კერისა და ნეირონულ ქსელებში ეპილეფსიური აღზნების გავრცელების გზების დადგენა ჯანაშია-ლაგვილაშვილ ალგორითმის გამოყენებით - სასტარტო კვლევა“, ფარგლებში 2021 წელს გაფორმდა ინსტიტუციური თანამშრომლობის ხელშეკრულება ნიუ- იორკის უნივერსიტეტის აბუ-დაბის

ფილიალთან. პროექტის ხელმძღვანელია ასოცირებული პროფესორი სოფიო კასრამე. კვლევა ხორციელდება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლობის ფარგლებში. პროექტში ჩართულები არიან მკვლევრები: პროფესორი ილია სპიტკოვსკი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის აბუ დაბის ფილიალის მეცნიერებისა და მათემატიკის განყოფილების პროფესორი (არაბთა გაერთიანებული საემიროები), საერთაშორისო ექსპერტი მატრიციათა თეორიაში. პროფესორი მუკეშ დამალა (Mukesh Dhamala) - ატლანტის (ჯორჯიის შტატი) უნივერსიტეტის ფიზიკისა და ასტრონომიის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი, ჯორჯიის ნეირომეცნიერებათა ინსტიტუტის ქვევითი ნეირომეცნიერებებისა და ტვინის სრულფასოვანი იმიჯინგის ტექნიკური ცენტრის ხელმძღვანელი. პროფესორი ლაშა ეფრემიძე - მათემატიკოსი, ჩვენი თანამემამულე, რომელიც ამჟამად აქტიურად მოღვაწეობს აბუ-დაბის ნიუ-იორკის უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტში;

- ✓ გატარდა რიგი ღონისძიებები ჩინეთის პეკინის უნივერსიტეტთან ინსტიტუციური თანამშრომლობის ჩამოსაყალიბებლად. პროექტის დაგეგმვაში ჩართულია საქართველოს საელჩო ჩინეთში და კსუ-ს კანცლერის მრჩეველი, პროფესორი ზვიად გაბისონია. სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის მიერ მომზადდა პრეზენტაცია კსუ-ს ფაკულტეტების სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. შედგა საქმიანი მიმოწერა კსუ-ს მედიცინის, ბიზნესის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტებსა და ჩინეთის უნივერსიტეტის სავარაუდო პარტნიორ ფაკულტეტებს შორის.

უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი

- ✓ დაარსდა საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი - **საერთაშორისო ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში**, რომელიც დაკომპლექტდა ავტორიტეტული ადგილობრივი და საერთაშორისო სარედაქციო კოლეგიით, რომლის მიზანია მაღალი აკადემიური სტანდარტების მქონე სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება და გავრცელება საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში. ჟურნალი უკვე გაწვერიანდა Crossref-ში. ეტაპობრივად დაგეგმილია მისი ინდექსირება საერთაშორისო ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებში. პირველ ნომერში აიტვირთა კსუ-სა და ირლანდიის Dublin City University-ს მიერ ერთობლივად ჩატარებული კონფერენციის მასალები. შეიქმნა ჟურნალის ვებ-საიტი www.journal.ciu.edu.ge

უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის და სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული სხვა სამეცნიერო-აკადემიური ღონისძიებები

- ✓ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებულ ღონისძიებაზე - „წლის საუკეთესო მიღწევა“ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილ იქნა ქალბატონ სოფიო კასრამდის პრეზენტაცია თემაზე: „ფარმაკორეზისტენტული ეპილეფსიების დროს ეპილეფსიური კერისა და ნეირონულ ქსელებში ეპილეფსიური ადგზნების გავრცელების გზების დადგენა ჯანაშია-ლაგვილავას ალგორითმის გამოყენებით“;

- ✓ უნივერსიტეტის მიერ დაფინანსდა სამართლის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის, როინ მიგრიაულის სახელმძღვანელოს „სამეწარმეო სამართალი“ გამოცემა;
- ✓ გამოიცა ტრილოგიის მეორე, ათასგვერდიანი ტომი „საკონსტიტუციო იდეები და პროცესები ქართულ პუბლიცისტიკაში - ბრძოლა კონსტიტუციური დემოკრატიისათვის (1990-1995)“. კრებულის კონცეპტუალური გააზრება, შესავალი წერილი და სამეცნიერო რედაქცია ეკუთვნის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორს - მინდია უგრეხელიძეს, ხოლო პროექტის ავტორი და ხელმძღვანელია ასოცირებული პროფესორი, ბექა ქანთარია. 2021 წლის 15 მარტს შედგა საქართველოს პარლამენტის პირველი რესპუბლიკის დარბაზში იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ორგანიზებით წიგნის პრეზენტაცია, რომელიც საქართველოს პირველი კონსტიტუციის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა;
- ✓ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და ირანის საელჩოს თანამშრომლობით საერთაშორისო კონფერენციები 2015 წლიდან ტარდება, რომელთა მიზანია ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება საქართველოსა და ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების მიმართულებით;
- ✓ გამოიცა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და ირანის საელჩოს დაფინანსებით 2018 და 2020 წლებში ჩატარებული „საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები“ IV და V კონფერენციების კრებული;
- ✓ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და ირანის საელჩოს დაფინანსებით ჩატარდა VI კონფერენცია: „საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები“;
- ✓ უნივერსიტეტის დაფინანსებით გამოქვეყნდა ასოცირებული პროფესორის - ნინო მინდიაშვილის სტატია COLLECTIVE TRAUMA IN REFUGEE LITERATURE (BASED ON ALMANACS – 14 GIGABYTES AND HALLELUIAH) საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში [International Journal of Innovative Technologies in Social Science](#) ;
- ✓ სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის სამეცნიერო პროექტების კოორდინატორმა - შორენა ქურდაძემ მონაწილეობა მიიღო ონლაინ შეხვედრაში ჰორიზონტი ევროპის საინფორმაციო დღე (Horizon Europe Info Day Georgia), რომელიც საგანგებოდ საქართველოსთვის იყო განკუთვნილი. შეხვედრა მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა Horizon Europe-ის საერთო სტრუქტურა, დაფინანსების სხვადასხვა სქემა და მონაწილეობის შესაძლებლობები; გლობალური გამოწვევები და ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობა; მარი სკლადოვსკა კიურის (MSCA) ისეთი აქტივობები, როგორებიცაა ინოვაციური სასწავლო ქსელები (ITN), ინდივიდუალური სტიპენდიები (IF), კვლევისა და ინოვაციების პერსონალის გაცვლა (RISE) ან რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო პროგრამების თანადაფინანსება (COFUND) და სხვ.;
- ✓ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსი სესილი გოგიბერიძე მონაწილეობას იღებს „ჰორიზონტი 2020“-ის მიერ დაფინანსებული პროექტის CALIPER-ის აქტივობებში. პროექტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები, სადაც სამუშაო ჯგუფში ჩართულმა

პირებმა დაინტერესებულ მხარეებს გააცნეს აკადემიურ სივრცეში გენდერული თანასწორობის გეგმის სამუშაო ვერსია, რაც მოიცავდა შიდა ინსტიტუციურ და გარე აქტივობებს.

ინტერნაციონალიზაცია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი მისი მისიიდან გამომდინარე აქტიურად მუშაობს სასწავლო და სამეცნიერო აქტივობებში საერთაშორისო კომპონენტის შემოტანასა და გაძლიერებაზე. ამ მიმართულებით ხორციელდება რიგი ღონისძიებები, რომლებშიც ჩართვა და მონაწილეობის მიღება შეუძლიათ კსუ-ს თითოეულ სტუდენტსა და პროფესორს.

ინტერნაციონალიზაციის კუთხით 2021 წელს განხორციელებული აქტივობები დაჯგუფდა შემდეგ მიმართულებებში:

- I. საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტებიდან პროფესორის/მკვლევრის მოზიდვა საგანმანათლებლო მიზნით;
- II. Erasmus+ პროგრამაში მონაწილეობის პროექტების მომზადება და შეტანა პარტნიორ უნივერსიტეტებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობით;
- III. სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის და გაცვლითი პროგრამების განხორციელება;
- IV. საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელის განვითარებაზე ზრუნვა;
- V. კვლევის ინტერნაციონალიზაცია.

I. საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტებიდან პროფესორის/მკვლევარის მოზიდვა საგანმანათლებლო მიზნით

ინტერნაციონალიზაციის პროცესში სტუდენტებისა და პერსონალის მაქსიმალური რაოდენობის ჩართვის მიზნით საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი აქტიურად იწვევს უცხოელ პროფესორებსა და მკვლევრებს პარტნიორი უნივერსიტეტებიდან საგანმანათლებლო მიზნით. ვიზიტების ფარგლებში ტარდება ინტენსიური სასწავლო კურსები და ტრენინგები, რომელთა წარმატებით დასრულების შემდეგ მონაწილეები იღებენ ინგლისურენოვან სერტიფიკატებს.

2020 წელს COVID-19 ვირუსით გამოწვეული პანდემიის შედეგად ვერ მოხერხდა უცხოელი პროფესორის, მკვლევრის მოწვევა უნივერსიტეტში, თუმცა კსუ-ს სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ონლაინ ჩართულობის საშუალებებით მონაწილეობა მიეღოთ აქტივობებში:

- 1) კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პარტნიორის, მენდელის უნივერსიტეტის (ჩეხეთის რესპუბლიკა) ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო განათლების კვირეული, რომლის ფარგლებში კსუ-ს ყველა ფაკულტეტის სტუდენტს საშუალება ჰქონდათ, დასწრებოდნენ ინგლისურენოვანი კურსების სერიას (სულ 30 კურსი);
- 2) კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პარტნიორის, ტარტუს უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო საზაფხულო უნივერსიტეტი, რომლის ფარგლებში კსუ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ, მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა მოდულში;

- 3) კსუ-ს პარტნიორის, თეირანის სამედიცინო უნივერსიტეტის (ირანი) ორგანიზებით ჩატარდა ვებინარების სერია თემაზე - „International Online Congress on Minimally Invasive Surgical Oncology“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა;
- 4) კსუ-ს პარტნიორის, ჩონამის ეროვნული უნივერსიტეტის ორგანიზებით (სამხრეთ კორეა) ჩატარდა ონლაინ საერთაშორისო საზაფხულო სესია, რომელსაც დაესწრო სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები.

II. Erasmus+ პროგრამაში მონაწილეობის პროექტების მომზადება და შეტანა პარტნიორ უნივერსიტეტებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობით;

უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი ხელს უწყობს, ამზადებს და შეაქვს Erasmus+ პროგრამაში მონაწილეობის პროექტები პარტნიორ უნივერსიტეტებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა შეიტანა მობილობის და ინსტიტუციური განვითარების პროექტები შემდეგ უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან ერთად:

- | | |
|---|--|
| <ol style="list-style-type: none"> 1. Erasmus+ KA107 (მობილობის პროგრამა) - ალკალას უნივერსიტეტი (მადრიდი, ესპანეთი); 2. Erasmus+ KA107 (მობილობის პროგრამა) - ვროცლავის სამედიცინო უნივერსიტეტი (ვროცლავი, პოლონეთი); 3. Erasmus+ KA107 (მობილობის პროგრამა) - შიაულის სახელმწიფო კოლეჯი (შიაულია, ლატვია); 4. Erasmus+ KA107 (მობილობის პროგრამა) - დასავლეთ ატიკას უნივერსიტეტი (საბერძნეთი); 5. Erasmus+ KA107 (მობილობის პროგრამა) - პელოპონესის უნივერსიტეტი (საბერძნეთი); 6. Erasmus+ KA107 (მობილობის პროგრამა) - კლაიპედას გამოყენებითი მეცნიერებების სახელმწიფო უნივერსიტეტი (კლაიპედა, ლიტვა); 7. Erasmus+ KA107 (მობილობის პროგრამა) - ბურგოსის უნივერსიტეტი (ესპანეთი); 8. Erasmus+ KA107 (მობილობის პროგრამა) - ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი); 9. Erasmus+ KA107 (მობილობის პროგრამა) - ველიკო ტარნოვოს უნივერსიტეტი (ბულგარეთი); | <ol style="list-style-type: none"> 10. Erasmus+ KA107 (მობილობის პროგრამა) - ომის კვლევების უნივერსიტეტი (პოლონეთი); 11. Erasmus+ KA107 (მობილობის პროგრამა) - ბიზნესისა და მეწარმეობის კოლეჯი (პოლონეთი); 12. Erasmus+ KA107 (მობილობის პროგრამა) - მაზოვიის სახელმწიფო უნივერსიტეტი პლოქში (პოლონეთი); 13. Erasmus+ KA107 (მობილობის პროგრამა) - ბიზნესის უმაღლესი სკოლა, ლუის ეროვნული უნივერსიტეტი (პოლონეთი); 14. Erasmus+ KA107 (მობილობის პროგრამა) - მენდელის უნივერსიტეტი (ჩეხეთი); 15. Erasmus+ Youth Project (ახალგაზრდული საზაფხულო სკოლა) - Break the wall of differences, კლაიპედას გამოყენებითი მეცნიერებების სახელმწიფო უნივერსიტეტი (ლიეტუვა); 16. Erasmus+ K2 / CBHE (ინსტიტუციური თანამშრომლობის პროექტი) – Technology and Innovation in Management of Education and Research at |
|---|--|

Georgian HEIs (TIMER), უდიმას უნივერსიტეტი (ესპანეთი);
 17. Erasmus+ K2 / CBHE (ინსტიტუციური თანამშრომლობის პროექტი) - Enhancing University Capacities in Armenia, Belarus and Georgia for international Mobility, ნიშნის უნივერსიტეტი (სერბეთი);
 18. Erasmus+ K2 / CBHE (ინსტიტუციური თანამშრომლობის

პროექტი) - University Industry Links in Applied Bio Sciences in Georgia and Ukraine: from Undergraduate to Doctorate, ტერამოს უნივერსიტეტი (იტალია);
 19. Erasmus+ K2 / CBHE (ინსტიტუციური თანამშრომლობის პროექტი) - One health. Food Safety Based on European Experience, ოდესას სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი (უკრაინა).

III. სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის და გაცვლითი პროგრამების განხორციელება

საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველზე 2021 წლის განმავლობაში კსუ-მა სტუდენტებს შესთავაზა 11 გაცვლითი და პრაქტიკის პროგრამა Erasmus+-ისა და საუნივერსიტეტო ხელშეკრულების საფუძველზე. გაცვლით პროგრამებზე კონკურსები ტარდება გამჭვირვალობის პრინციპების სრული დაცვით. მობილობის და გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაცია სემესტრულად ვრცელდება უნივერსიტეტის კორპორაციული ელ.ფოსტის, საიტის და სოციალური მედიის გვერდების მეშვეობით.

2021 წელს გამოცხადდა და განხორციელდა სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შემდეგი მობილობის და გაცვლითი პროგრამები:

გამოცხადებული საუნივერსიტეტო გაცვლითი პროგრამები:

1. ვროცლავის სამედიცინო უნივერსიტეტი, პოლონეთი;
2. ლოდის უნივერსიტეტი, პოლონეთი;
3. იაგელონიის უნივერსიტეტი, პოლონეთი;
4. ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტი, ლიეტუვა;
5. ჩონამის ეროვნული უნივერსიტეტი, სამხრეთ კორეა;

გამოცხადებული Erasmus+ გაცვლითი პროგრამები:

1. ვროცლავის სამედიცინო უნივერსიტეტი, პოლონეთი;
2. ალკალას უნივერსიტეტი, ესპანეთი;
3. ნოვი სონჩის ბიზნეს სკოლა - ლუის ეროვნული უნივერსიტეტი, პოლონეთი;
4. კლაიპედას გამოყენებითი მეცნიერებების სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლიეტუვა;
5. შიაულიაის გამოყენებითი მეცნიერებების სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლიეტუვა;
6. ბურგოსის უნივერსიტეტი, ესპანეთი.

კოვიდ პანდემიის გამო სტუდენტები, ასევე, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი თავს იკავებდა საერთაშორისო მობილობის პროგრამებში ჩართვისგან. პარტნიორი უნივერსიტეტები, სახელმწიფო რეგულაციებიდან გამომდინარე, ხშირად იძულებულნი იყვნენ, გაეუქმებინათ გაცვლითი პროგრამები.

საერთო ჯამში, 2021 წელს ორივე მიმართულებით (შემომავალი და გამავალი) საერთაშორისო მობილობის სხვადასხვა პროექტში ჩაერთო 5 სტუდენტი.

- 1) 2021 კალენდარული წლის შემოდგომის სემესტრში Erasmus+ პროგრამის ფარგლებში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 1 სტუდენტი გაემგზავრა სასწავლებლად კლაიპედას გამოყენებითი მეცნიერებათა სახელმწიფო უნივერსიტეტში (ქ. კლაიპედა, ლიეტუვა).

#	Name	Surname	Sex	Field of Study	Year of Study
1	Lika	Kukhilava	Female	BA Educational Program in Management	3

2)
2021

კალენდარული წლის გაზაფხულის სემესტრში Erasmus+ პროგრამის ფარგლებში კლაიპედას გამოყენებითი მეცნიერებების სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (ქ. კლაიპედა, ლიტვა) 1 სტუდენტი ჩამოვიდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სასწავლებლად.

#	Name	Surname	Field of Study
1	Joy Chidima	Opara	BA Educational Program in Business Administration

3)
2021

კალენდარული წლის გაზაფხულის სემესტრში Erasmus+ პროგრამის ფარგლებში შიაულიას გამოყენებითი მეცნიერებების სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (ქ. შიაულიაი, ლიეტუვა) 4 სტუდენტი ჩამოვიდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სასწავლებლად.

#	Name	Surname	Field of Study
1	Tadas	Balaišis	BA Educational Program in Business Administration
2	Mantas	Staponas	BA Educational Program in Business Administration
3	Mantas	Arbačiauskas	BA Educational Program in Business Administration
4	Sandra	Šimukėnaitė	BA Educational Program in Business Administration

4)
2021

კალენდარული წლის ზაფხულში Erasmus+ პროგრამის ფარგლებში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 1 სტუდენტი გაემგზავრა ორთვიან პრაქტიკაზე ვროცლავის სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკაში (ქ. ვროცლავი, პოლონეთი).

#	Name	Surname	Sex	Field of Study	Year of Study
1	Irakli	Glonti	Male	Educational Program in Medicine	6

IV.

საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელის განვითარებაზე ზრუნვა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს აქვს ფართო და მრავალფეროვანი საერთაშორისო პარტნიორების ქსელი. 2020 წლის მდგომარეობით, აღნიშნული მიმართულებით კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს ურთიერთგაგების მემორანდუმები და თანამშრომლობის ხელშეკრულებები ჰქონდა დადებული 23 ქვეყნის 70 უნივერსიტეტთან, ახორციელებდა სტუდენტების, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის 10 მობილობასა და გაცვლით პროგრამას. 2021 წლის განმავლობაში ურთიერთგაგების მემორანდუმებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებების საერთო რაოდენობა გაიზარდა და გახდა 80 (საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტების სია იხ. **დანართი 1-ში**).

2021 წელს გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან:

1. Ukrainian State University of Chemical Technology, Ukraine;
2. Polonia University in Cziestochowa, Poland;
3. University of International Business, Kazakhstan;
4. Valahia University of Targoviste, Romania;
5. Yerevan Haybusak University, Armenia;
6. National Agency of Academic Cooperation NAWA, Poland;
7. Global Wine Tourism Organization, Spain;
8. Escuela Superior de Enoturismo De Castylla y Leon, Spain;
9. Winery Alvar de Dios, Spain;
10. FH Joanneum Gesellschaft mbH University of Applied Sciences, Austria;
11. North-West Institute of Management of RANEPА, Russia;
12. Caucasus Study Institute, Iran.

2021 წელს ინტერნაციონალიზაციის განვითარებისა და თანამშრომლობის ქსელის გაფართოების მიზნით კსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ ღონისძიებებში:

1. Online conference: Internationalisation beyond IRO – Cooperation with IT for digital Erasmus; ორგანიზატორი - ლოდის უნივერსიტეტი, პოლონეთი;
2. International Week Spring 2021 - Quality Assurance in Higher Education; ორგანიზატორი - მენდელის უნივერსიტეტი (ჩეხეთი);
3. France-Eastern Partnership Seminar; ორგანიზატორი Campus France;
4. "Micro-Credentials in the EHEA: Small Learning Units - Big Opportunities?"; ორგანიზატორი German National Agency for EU Higher Education Cooperation;
5. CBHE Virtual Fair; ორგანიზატორი - Erasmus+ National Offices and the European Education and Culture Executive Agency (EACEA).

საერთაშორისო პარტნიორები

სომხეთი

1. Russian-Armenian University
2. Public Administration Academy of the Republic of Armenia
3. Yerevan Haybusak University

ავსტრია

4. FH Joanneum Gesellschaft mbH University of Applied Sciences

აზერბაიჯანი

5. Qafqaz University
6. Azerbaijan State Economic University
7. Odlar Iurdu University

ბოსნია და ჰერცეგოვინა

8. Sinergiya University

ბულგარეთი

9. Varna Free University "Chernorizets Hrabar"
10. St Cyril and St Methodius University of Veliko Turnovo
11. Agricultural Academy

კვიპროსი

12. University of Cyprus

ჩეხეთის რესპუბლიკა

13. Brno University of Technology

გერმანია

14. Oldenburg University Clinic of Carl Von Ossietzky University of Oldenburg
15. Diakonissen-Stiftung-Krankenhaus Speyer

ინდონეზია

16. Stekom University

ირანი

17. University of Tehran
18. Shahid Sadoughi University of Medical Sciences
19. Caucasus Study Institute

იტალია

20. Fondazione Romualdo Del Bianco - Life Beyond Tourism

ყაზახეთი

21. El Almaty Management University
22. University of International Business

ყირგიზეთი

23. OSCE Academy

ლატვია

24. Riga Technical University Faculty of Engineering and Economics
25. University of Latvia
26. Baltic International Academy

ლიეტუვა

27. Siauliai State University of Applied Sciences
28. Klaipeda State University of Applied Sciences

მოლდოვა

29. State Agrarian University of Moldova

პოლონეთი

30. University of Gdansk
31. University of Information Technology and Management
32. University of Business and Administration
33. University of Lodz
34. Wroclaw University of Economics
35. Silesian University
36. University of Ecology and Management

37. Jagiellonian University
38. Nowy Sacz School of Business - National Louis University
39. Wroclaw Medical University
40. University of Economics and Human Sciences
41. College of Business and Entrepreneurship
42. University of Commerce and Services
43. University of Rzeszow
44. Adam Mickiewicz University
45. Polonia University in Cziestochowa
46. National Agency of Academic Cooperation NAWA

რუმინეთი

47. Ovidius University of Constanta
48. University of Oradea
49. Valahia University of Targoviste

რუსეთი

50. North-West Institute of Management of RANEPА

სერბეთი

51. University of Nis

სლოვაკეთი

52. Pan European University
53. University of SS Cyril and Methodius
54. Trnava University

სამხრეთ კორეა

55. Chonnam National University

ესპანეთი

56. Centro Espanol De Nuevas Profesiones
57. University of Alcalá
58. University of La Rioja
59. University of Burgos
60. Municipal Training Institute and Wine Tourism of Catalonia Professional Training School
61. Global Wine Tourism Organization
62. Escuela Superior de Enoturismo De Castylla y Leon
63. Winery Alvar de Dios

თურქეთი

- 64. Suleyman Demirel University / Isparta University of Applied Sciences
- 65. Kafkaz University
- 66. Giresun University
- 67. University of Turkish Aeronautical Association
- 68. Bilecik Seyh Edebali University
- 69. Istanbul Aydin University

უკრაინა

- 70. Kyiv University of Law of the National Academy of Sciences of Ukraine
- 71. European University
- 72. Lviv Regional Institute of Public Administration

- 73. National Transport University
- 74. V.N. Karazin Kharkiv National University
- 75. Diplomatic Academy of Ukraine Under the Ministry of Foreign Affairs of Ukraine
- 76. Vinnytsia National Agrarian University
- 77. Berdiansk State Pedagogical University
- 78. National Aviation University
- 79. Taras Shevchenko National University of Kiev
- 80. Ukrainian State University of Chemical Technology

უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების სამსახური კარიერული მხარდაჭერის სერვისი

2012 წლიდან კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერული განვითარების სამსახური. 2021 წელს განხორციელდა სტრუქტურული ცვლილება, რის შედეგადაც კარიერული განვითარებისა და უწყვეტი განათლების სამსახურები გაერთიანდა. სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობაა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის კარიერული მხარდაჭერის სერვისების მიწოდება.

საანგარიშო პერიოდში მსოფლიოში შექმნილი პანდემიური ვითარების გამო, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების სამსახურის ძირითადი სერვისი გადავიდა დისტანციურ რეჟიმზე.

კორპორაციული ელექტრონული ფოსტისა და სამსახურის FB-გვერდის მეშვეობით სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გადაგზავნილ იქნა პარტნიორი ორგანიზაციებისა და სხვა კომპანიების 160-მდე ვაკანსია და ინფორმაცია სტაჟირების პროგრამების შესახებ.

ასევე, გაწეულ იქნა კარიერული კონსულტაციები შემდეგ საკითხებზე:

- CV-ის შედგენა;
- სამოტივაციო წერილის შედგენა;
- სამსახურის ძიების ხერხები და სხვა.

250-მდე პირს გაეწია ინდივიდუალური კარიერული კონსულტაცია დისტანციურად.

საანგარიშო პერიოდში სტუდენტთა კარიერული წინსვლის ხელშეწყობისათვის განხორციელდა შემდეგი უფასო მოკლევადიანი კურსები:

- „CV/რეზიუმეს შედგენის ტექნიკები“, რომელსაც უძღვებოდა კომპანია „რეტკოს“ HR ჯენერალისტი - გვანცა ანთიძე;
- „სამუშაოს ძიების ხერხები“, რომელსაც უძღვებოდა დასაქმების პლატფორმა „ჰიროსა“ და ტრენინგ ცენტრ „ერუდიოს“ ხელმძღვანელი - თამარ მესხიძე;

- „ნაბიჯი წარმატებული კარიერისკენ“, რომელსაც უძღვებოდა კომპანია „ნეოფარმის“ ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი - ნატო დურგლიშვილი;
- „როგორ გამოვიყენოთ LinkedIn სამსახურის ძიების პროცესში“, რომელსაც უძღვებოდა განათლების განვითარების პროფესიონალი, კარიერული კონსულტანტი - ცირა შანავა;
- „CV/რეზიუმეს წერა და წარმატებული გასაუბრების ტექნიკა“, რომელსაც უძღვებოდნენ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის სამსახურის უფროსი, მაია მარტიაშვილი და პერსონალის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, მზია გოგიაშვილი;
- „მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების პროგრამა SPSS-ი“, რომელსაც უძღვებოდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მარკეტინგული კვლევების ლაბორატორია Marketing Lab-ის ხელმძღვანელი - თათია ბრეგვაძე;
- „ელექტრონულ მონაცემთა ბაზები და ძებნის მექანიზმები“, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს საბიბლიოთეკო კონსორციუმის წარმომადგენელი - მარიკა ჟორჟოლიანი.

მნიშვნელოვანია, რომ სამსახური აქტიურად თანამშრომლობს პოტენციურ დამსაქმებლებთან. კერძოდ, აფორმებს მემორანდუმებს, სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ატარებს დასაქმების ფორუმებს, კარიერის დღეებს, ორგანიზებას უწევს პროფესიულ დღესასწაულებს, პროფესიულ ტურებს და სხვადასხვა სამუშაო ფორმატის ფარგლებში ახდენს დამსაქმებლებთან მჭიდრო კომუნიკაციას. ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- შეხვედრა თემაზე: „კარიერა საგარეო საქმეთა სამინისტროში“. შეხვედრას უძღვებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მრჩეველი - ანა ჯებირაშვილი;
- კარიერის დღე მედიცინის ფაკულტეტზე. შეხვედრას უძღვებოდნენ „ევექსი ჰოსპიტლების“ პერსონალის შერჩევის სპეციალისტი (რეკრუტერი) - მარიამ ჩანტლაძე და კომპანია „გეფას“ შერჩევის სპეციალისტი, სამედიცინო სასწავლებლებთან ურთიერთობის კოორდინატორი - დიანა ფეიქრიშვილი;
- შეხვედრა თემაზე: „კარიერა საქართველოს პროკურატურაში“. შეხვედრას უძღვებოდა საქართველოს პროკურატურის პროფესიული განვითარებისა და კარიერის მართვის ცენტრის (სამმართველო) კონსულტანტი - სოფიო შენგელია;
- ქართული დიპლომატიის დღესთან დაკავშირებით საჯარო ლექცია თემაზე: „საქართველოს დიპლომატიის უახლესი ისტორია დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან“. შეხვედრას უძღვებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქალაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი - ელჩი მიხეილ უკლება;
- „პერსპექტივები სტუმარმასპინძლობის სფეროს მომავალი წარმომადგენლებისთვის“. შეხვედრას უძღვებოდა სასტუმრო "Holiday Inn Telavi"-ის გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერი - თამარ ახალბედაშვილი;
- შეხვედრა „პსპ“-სთან. შეხვედრას უძღვებოდა „პსპ“-ს აკადემიის ხელმძღვანელი - ეკა ფრუიძე;
- შეხვედრა „ლიბერთი ბანკთან“. შეხვედრას უძღვებოდნენ „ლიბერთი ბანკის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ადმინისტრაციის დეპარტამენტის შერჩევის განყოფილების უფროსი - მაია ბლიაძე და ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - თამარ ხაინდრავა;
- „პროფესია ფარმაცევტი“ ფარმაცევტთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით განხორციელდა შეხვედრა. შეხვედრას უძღვებოდნენ კომპანია „გეფას“ წარმომადგენლები;
- შეხვედრა ლიკა კვიციანიშვილთან - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსთან.

ასევე საანგარიშო პერიოდში გაიმართა „ვირტუალური კარიერის დღე / Virtual Career Day 2021“. დისტანციური შეხვედრის ფარგლებში სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა მიეცათ, შეხვედროდნენ როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებს.

უწყვეტი განათლების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები

უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების სამსახური ახორციელებს საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის უწყვეტი განათლების პროგრამებს. უნივერსიტეტში უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების, პერსონალის მართვისა და სხვა სამსახურების ჩართულობით შემუშავდა, როგორც ადმინისტრაციული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების 2021 წლის სამოქმედო გეგმა, ასევე, აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების 2021 წლის სამოქმედო გეგმა. ამ გეგმების ფარგლებში ჩატარდა არაერთი ტრენინგ-კურსი პერსონალის პროფესიული/ პიროვნული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

ადმინისტრაციული პერსონალისთვის დაინერგა ტრენინგ პროგრამა, რომელიც გულისხმობს თანამშრომელთა გადამზადებას, მათი ცნობიერებისა და კომპეტენციის ამაღლებას. პროგრამის ფარგლებში შემუშავდა შემდეგი ტრენინგები:

- ადმინისტრაციის თანამშრომელთა ინგლისურ ენაში მომზადება/გადამზადება;
- ახალი თანამშრომლებისთვის უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობა/შესწავლა;
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემის (GONI) არსებული ფუნქციების გაცნობა/ შესწავლა, როგორც ახალი, ასევე ძველი თანამშრომლებისთვის;
- და სხვა

აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელდა შემდეგი ტრენინგები:

- PBL - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- OSCE - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა;
- ტრენინგების ციკლი „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
- სწავლების თანამედროვე მეთოდები;
- კურიკულუმებისა და სილაბუსების შექმნის მეთოდიკა;
- კვლევის მეთოდები;
- სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურის ძირითადი მახასიათებლები;
- ციტირების სტილები, წყაროების გამოყენება და დამოწმება სამეცნიერო ნაშრომში;
- სამეცნიერო ბაზების გამოყენება (ELSEVIER და სხვა ბაზები);
- სამეცნიერო ნაშრომის უცხოენოვან ჟურნალებში გამოქვეყნება-მოძიება, გაფორმების მეთოდები;
- ციტირების ინდექსისა და საერთაშორისო სივრცეში მკვლევრის ცნობადობის გაუმჯობესების მეთოდები;
- მონაცემების სტატისტიკური დამუშავება;
- სამეცნიერო გრანტების მოზიდვა, საპროექტო განაცხადის მომზადება და წარდგენა.

საქართველოში არსებული საბაზრო მოთხოვნებიდან გამომდინარე, სამსახური ნერგავს და ადმინისტრირებას უწევს ტრენინგების პროგრამებს ფართო საზოგადოებისათვის.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფ ენების ცენტრთან ერთად განახორციელა შემდეგი კურსები:

- ინგლისური ენის კურსი;
- პოლონური ენის კურსი;
- ლათინური ენა კურსი.

ჯამში ამ მიმართულებით განხორციელდა 8 კურსი.

ასევე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის (CIU) ბაზაზე წლებია ფუნქციონირებს ესპანური განათლებისა და კულტურის ცენტრი „იბერია“, რომელიც 2008 წელს მადრიდში დაარსდა და დღესდღეობით თანამშრომლობს ესპანეთის წამყვან უნივერსიტეტებსა და ენის სასწავლო ცენტრებთან. ამ ცენტრთან თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა 2 კურსი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ღვინის ტურიზმის ტრენინგი. ტრენინგი განხორციელდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის (CIU), საქართველოს ენოტურიზმის ასოციაციის (GETA) და ღვინის ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის (GWTO) თანამშრომლობის ფარგლებში. ტრენინგს ადმინისტრირებას უწევდა უწყვეტი განათლების და კარიერული განვითარების სამსახური.

კონტრიბუცია

სასკოლო-საგანმანათლებლო/შემეცნებითი პროექტები

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი კონტრიბუციის მიზნით მუდმივად ახორციელებს საზოგადოებისთვის სასარგებლო სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო/შემეცნებით აქტივობებს.

საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები:

სასკოლო - საგანმანათლებლო პროექტები:

1. ეს ჩვენი მეფე ერეკლე;
2. რას ამბობს შავი ზღვა;
3. კამათის ხელოვნება;
4. მევენახეობა-მეღვინეობის ზამთრის ონლაინ ბანაკი;
5. მევენახეობა-მეღვინეობის საგაზაფხულო ონლაინ ბანაკი.

ეს ჩვენი მეფე ერეკლე

საგანმანათლებლო კონკურსი - „ეს ჩვენი მეფე ერეკლე...“ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული საავტორო პროექტია, რომელიც ემსახურებოდა მოსწავლეების მიერ ერეკლე II-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკეთ გაცნობას.

პროექტში მონაწილეობდნენ საქართველოს მასშტაბით X, XI, XII კლასის მოსწავლეები.

ფინალურ ეტაპზე გადავიდა 32 მოსწავლე.

საგანმანათლებლო კონკურსი შედგებოდა 3 სექციისგან: ჟურნალისტიკა; ტურიზმი; ესეისტიკა.

კონკურსი ეძღვნებოდა მეფე ერეკლეს დაბადებიდან 300 წლისთავს.
რას ამბობს შავი ზღვა

საგანმანათლებლო კონკურსი - „რას ამბობს შავი ზღვა“ - შავი ზღვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებაა. იგი განკუთვნილია მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებისთვის. კონკურსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა.

პროექტი ვიდეო და ესეების კონკურსებისგან შედგებოდა. ასევე კონკურსის ფარგლებში შავი ზღვის თემატიკაზე დისტანციური ლექციები გაიმართა:

- შავი ზღვის ისტორიული ნარატივი;
- შავი ზღვის „ლურჯი ეკონომიკა“-საქართველოს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი;
- ზღვა დევნილთა ლიტერატურაში;
- შავი ზღვა პლატონიდან დღემდე;
- შავი ზღვის გეოპოლიტიკური იდენტობა და მისი როლი ახალი ცივი ომის პირობებში.

კამათის ხელოვნება

პროექტი - „კამათის ხელოვნება“ მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში არგუმენტირებული კამათის კულტურის, კრიტიკული აზროვნების, სასაუბრო დროის რაციონალურად სარგებლობის, საჭირო მასალებისა და ინფორმაციის მოძიების უნარების განვითარებას, ასევე მათ სწორად გამოყენებას, კომპრომისის ნახვასა და შეთანხმებას.

აღნიშნული პროექტი 2 თვის განმავლობაში გრძელდებოდა და შედგებოდა 2 ტრენინგისგან: „კამათის კულტურა“ / „შეთანხმების დოკუმენტი“ და 4 თამაში.

CIU-ს მევენახეობა-მეღვინეობის გაზაფხულის ონლაინ სასკოლო ბანაკი 2021

(შენი ბიზნეს იდეა მეღვინეობაში)

პროექტი მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის ორგანიზებითა და ბიზნესის ფაკულტეტის მხარდაჭერით გაიმართა და მოიცავდა შეხვედრებს ლიდერ პროფესორ-ტრენერებთან. პროექტში მონაწილეობდნენ X, XI, XII კლასის მოსწავლეები და ფინალურ ეტაპზე ამზადებდნენ ბიზნეს იდეებს. შედეგად, გამარჯვებული გუნდის წევრები დაფინანსდნენ CIU-ს 5000 ლარიანი სასწავლო ვაუჩერებით.

მევენახეობა-მეღვინეობის ზამთრის ონლაინ სასკოლო ბანაკი 2021

CIU-ს მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ სასკოლო ბანაკში საქართველოს მასშტაბით X, XI, XII კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

პროექტი შემდეგი თემატიკისგან შედგებოდა:

- ქართული მევენახეობა-მეღვინეობა;
- ქვევრში ღვინის დაყენების ქართული ტექნოლოგია;
- ქართული ვაზი;
- მომხმარებელთა ქცევა ღვინის შესყიდვისას;

- ღვინის ტურიზმი.

პროექტის ფარგლებში, CIU-ს სასწავლო ვაუჩერების სრული სასწავლო ფონდი 4000 ლარს შეადგენდა.

მულტიმედია ცენტრის შემეცნებითი პროექტები

თანამედროვე მედიატექნოლოგიებთან ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტების წვდომისა და კონკურენტუნარიანი მედიაპროდუქციის მომზადების მიზნით, კსუ მულტიმედია ცენტრი მუდმივად უზრუნველყოფს:

- სალექციო კურსებზე დაფუძნებული მედიაპროდუქციის შექმნას;
- სამეცნიერო და კვლევითი პროცესების ვიზუალიზაციას;
- სასწავლო-სამეცნიერო, საგანმანათლებლო-შემეცნებითი და მხატვრულ-დოკუმენტური აუდიო, ბეჭდური და ვიდეო მედიაპროდუქციის წარმოებას.

მულტიმედია ცენტრი არის სივრცე, სადაც უახლესი ტექნიკური რესურსი და მატერიალური ბაზა სტუდენტისთვის ხდება საშუალება, მიიღოს პრაქტიკული ცოდნა, ჩაერთოს საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებაში და საკუთარი თეორიული ცოდნა პრაქტიკული უნარებით გაიმყაროს.

ეტაპობრივად იქმნებოდა და იქმნება დოკუმენტური ფილმები, რომლებიც არაერთხელ გასულა ქართულ სამაუწყებლო სივრცეში.

მულტიმედია ცენტრის ბაზაზე ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მომზადდა დოკუმენტური ფილმების ციკლი - „ყვარლიდან მთაწმინდამდე გურამ შარაძის მოტივებზე“. 15-25 წუთიანი დოკუმენტური ფილმები მთხრობელის, რეკონსტრუქციებისა და გრაფიკული გამოსახულებების საშუალებებით, აუდიტორიას ზედმიწევნით აცნობს ილიას განვლილ გზას ყვარლიდან, მისი დაბადებიდან, მთაწმინდამდე - მის გარდაცვალებამდე. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად პანდემიისა, პროექტზე მუშაობა არ შეჩერებულა და წინა წელს გადაღებულ 12 სერიას საანგარიშო პერიოდში 7 ახალი სერია დაემატა. გადაცემათა ციკლი საგაკვეთილო პროცესში წარმატებით გამოიყენება მთელი საქართველოს მასშტაბით, საშუალო საგანმანათლებლო საფეხურზე.

გარდა ამისა, მულტიმედია ცენტრი ყოველწლიურად ახორციელებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებს.

„ავტოგრაფი“ აუდიტორიას საშუალებას აძლევს, უფრო ახლოს გაიცნოს კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები. ქართველი მსახიობებისა და მხატვრების ცხოვრების ექსპოზიცია მაყურებელმა ამ გადაცემების საშუალებით შეიძლება, იხილოს.

ავტოგრაფი - გივი თოიძე <https://www.youtube.com/watch?v=llj-A50ozOQ&t=67s>

ავტოგრაფი - გია გუგუშვილი http://multimedia.ciu.edu.ge/tv_item/index/gia-gugushvili

ავტოგრაფი - ჯემალ ლაღანიძე http://multimedia.ciu.edu.ge/tv_item/index/Jemal-GhaGhanidze

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორები აუდიტორიას საინტერესო თემებით „ლექტორიუმის“ ფარგლებში ხვდებიან. კომპეტენტური და პროფესიონალი ლექტორები, გრაფიკული ჩანართები და შესაბამისი ვიზუალური მხარე აუდიტორიისათვის მნიშვნელოვან თემებს მარტივად აღსაქმელსა და საინტერესოს ხდის.

საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც პოლიტიკის მეცნიერების შემადგენელი ნაწილი - თამარ კიკნაძე - http://multimedia.ciu.edu.ge/tv_item/index/Tamar-Kiknadze

ძილის დარღვევა და მისი გავლენა ადამიანის ორგანიზმზე - სოფიო კასრაძე - http://multimedia.ciu.edu.ge/tv_item/index/Zilis-darRveva-da-misi-gavlena-adamianis-organizmze-sofio-kasraZe

პანდემია და რეპროდუქციული ჯანმრთელობა - მამუკა ნემსაძე - <https://youtu.be/omQfrcOMmhc>

რატომ ვიხდით გადასახადებს? - გიორგი აბაშიშვილი - http://multimedia.ciu.edu.ge/tv_item/index/Why-Do-We-Pay-Taxes-Giorgi-Abashishvili

აღნიშნული პროექტების გარდა ცენტრი სტუდენტებთან ერთად მუშაობს ცალკეულ დოკუმენტურ ფილმებსა და სიუჟეტებზე, რომლებიც არაერთი კონკურსის გამარჯვებულია. გარდა ტელევიზიის ცენტრი აქტიურად მუშაობს სხვა პლატფორმებზეც, როგორცაა რადიო, ბეჭდური მედია (გაზეთი, ჟურნალი) და ბლოგი. აღნიშნული სტუდენტური ნამუშევრები ხელმისაწვდომია ცენტრის ვებგვერდზე.

სტუდენტური ცხოვრება

2021 წლის პანდემიურმა გამოწვევებმა კიდევ ერთხელ გვაჩვენა, რომ ახალგაზრდობა განსაკუთრებული ძალაა და ისინი, ნებისმიერი სირთულისას, თავად არიან პასუხისმგებლები საკუთარ მომავალზე. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტური ცხოვრება შეფერხებით, მაგრამ მაინც გამორჩეული ძალით იმკვიდრებდა თავს 2021 წელსაც და ამას ციფრებიც ადასტურებს:

- **01-08.04.2021** - მარტის ბოლოს და 1-8 აპრილს გუდაურში უნივერსიტეტის დაფინანსებით ექსკურსიაზე იმყოფებოდა 400-მდე ქართველი და უცხოელი სტუდენტი;
- **19.04.2021** - თბილისის ოლიმპიურ სასახლეში საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის „ა“ ლიგის პლეი-ოფის ნახევარფინალურ სერიაში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდმა „ხესტაფონი“ ანგარიშით - 81:66 დაამარცხა (სერია 2:1) და „ა“ ლიგის ფინალში გავიდა;
- **20.04.2021** - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფუტსალის გუნდმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (4:0) დაამარცხა და საქართველოს ჩემპიონი გახდა (სერია 3:1);
- **10.05.2021** - ქართველი და უცხოელი სტუდენტები უნივერსიტეტის დაფინანსებით იმყოფებოდნენ ექსკურსიაზე ყაზბეგში;
- **15.05.2021** - საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ორგანიზებით დაიწყო „უნივერსიადა 2021“. ჩემპიონატი 15 სახეობაში მიმდინარეობდა, აქედან კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა 13 სახეობაში მიიღო მონაწილეობა;
- **25.05.2021** - კსუ-ს ქვიშის ფრენბურთის გუნდი ფინალში გავიდა და მე-2 ადგილი დაიკავა;
- **09.06.2021** - კსუ-ს ფუტსალის გუნდი „უნივერსიადა 2021“ გამარჯვებული გახდა;

- **9.06.2021** - კსუ-ს ფუტსალის გუნდმა საქართველოს ფუტსალის ლიგის პლეი-ოფის ნახევარფინალური სერიის პირველ შეხვედრაში თელასი-ჯორჯიანსი ანგარიშით - 9:4 დაამარცხა;
- **09.06.2021** - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ პროექტში - „ბიზნეს ინკუბატორი“ - 6 საუკეთესო გუნდი გამოვლინდა, რომლებიც ექვსთვიან ბიზნეს ინკუბაციის პროცესში ჩაერთნენ. პროექტის პირველ ეტაპზე 53 მონაწილე დარეგისტრირდა, სადაც 12 ბიზნეს იდეა გამოიკვეთა, საბოლოოდ კი 6 ბიზნეს იდეა ფინალურ ეტაპზე გადავიდა. „ბიზნეს ინკუბატორის“ პროექტი უკვე მეორედ ტარდება, სადაც კსუ-ს ნებისმიერი ფაკულტეტის სტუდენტს შეუძლია მონაწილეობა;
- **11.06.2021** - 100-მდე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა ჯომარდობის ჩემპიონატში, დაბა ფასანაურში;
- **18.06.2021** - გაიმართა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსი „ტუროპერეტიინგი“, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები ტუროპერატორების საქმიანობის ორგანიზებას ეუფლებიან. 14 კვირის განმავლობაში სტუდენტებს ეძლეოდათ სალექციო თემატიკასთან დაკავშირებული პრაქტიკული დავალებები, რაც კომპანიის გვერდზე ისახებოდა. საბოლოოდ გამოვლინდა 3 საუკეთესო იმიტირებული ტურისტული კომპანია, რომელთა „დამფუძნებელი“ ბაკალავრები ძველ თბილისში, აბანოთუბანში დაჯილდოვდნენ. დაჯილდოების შემდეგ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა ძველ თბილისში „კლდის უბნის“ ტური განახორციელეს;
- **25.06.2021** - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რეკრუტირების ჯგუფის მიერ ორგანიზებული ინტელექტუალური თამაშის „ონლაინ-კვადრო“ საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ. ინტელექტუალურ თამაშში „ონლაინ-კვადრო“ 2021 წლის ზამთრისა და გაზაფხულის სეზონები ჩატარდა. თითოეულ სეზონზე ჩემპიონატში მონაწილეობას თბილისისა და რეგიონების 16 სკოლის ოთხი მოსწავლისგან დაკომპლექტებული გუნდი იღებდა;
- **27.06.2021** - კსუ-ს რაგბის გუნდმა „უნივერსიადა 2021-ში“ მე-2 ადგილი დაიკავა;
- **01.07.2021** - საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ორგანიზებით მიმდინარე „საქართველოს უნივერსიადა 2021“ დაჯილდოების ღონისძიებით დასრულდა. უნივერსიადაში მონაწილეობა საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის წევრმა 39-მა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მიიღო, სადაც თამაშები სპორტის 14 სახეობაში გაიმართა. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა უნივერსიადის საერთო ჩათვლაში მეოთხე, ხოლო კერძო უნივერსიტეტებში პირველი ადგილი დაიკავა;
- **28-29.07.2021** - საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით თბილისში გაიმართა საქართველოს ღია პირველობა ქვიშის ფრენბურთში, რომელშიც კსუ-ს გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა;
- **21/22/24.08.2022** - საქართველოს ჩემპიონმა - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფუტსალის გუნდმა ფუტსალში ევროპის ჩემპიონთა ლიგაზე იასპარეზა. ჯგუფურ ეტაპზე CIU-ს გუნდი E ჯგუფში, სერბულ "ფონთან", მონტენეგროს "ტიტოგრადთან" და ირლანდიურ "დუბლინთან" მოხვდა;

- **01.09.2021** - საქართველოს ჩემპიონი - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფუტსალის გუნდი ჩაერთო პირველ საერთაშორისო ასპარეზობაში - მონტენეგროში ევროპის ჩემპიონთა ლიგაზე; კსუ-ს გუნდი შეხვდა სერბეთისა და ირლანდიის ჩემპიონებს;
- **20-22.09.2021** - ქვიშის ფრენბურთის ეროვნულ ჩემპიონატში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 2 გუნდი იღებდა მონაწილეობას. ერთი გუნდი მე-2 ადგილზე გავიდა, მეორე გუნდმა კი ასპარეზობა მე-4 ადგილზე დაასრულა;
- **14.12.2021** - საქართველოს უზენაესმა სასამართლომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს უმასპინძლა;
- **16.12.2021** - საქართველოს პარლამენტმა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს უმასპინძლა;
- **23.12.2021** - მედიაპოლიდინგ „კომერსანტი“ CIU ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მრჩეველთა საბჭოს გასვლითი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, სადაც სტუდენტები ჰოლდინგის დამფუძნებელსა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, გიორგი სამუშიას შეხვდნენ.

ბიბლიოთეკა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ორივე სამკითხველო სივრცე 250 სტუდენტზეა დაპროექტებული. შექმნილია იზოლირებული შეხვედრების ოთახები და საკონფერენციო, ტრენინგ ოთახი და პერიოდიკის არქივი.

ბიბლიოთეკაში სისტემატურად ახლდება წიგნადი ფონდი. დღეისათვის უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საერთო რაოდენობა 25746 ერთეულს მოიცავს. აქედან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სახელმძღვანელოების რაოდენობა 20304-ს შეადგენს და მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო 5442 ერთეული არის დამხმარე ლიტერატურა.

2021 წელს საბიბლიოთეკო წესის მიხედვით დამუშავდა ინვენტარი 27914-დან 28550-მდე, რაც ნიშნავს 636 წიგნის, სტატიისა თუ ჟურნალის დამუშავებასა და გაფორმებას ბიბლიოთეკის კატალოგში შესაბამისი წესის მიხედვით.

ბიბლიოთეკამ პანდემიის საპრევენციო წესების დაცვით მუშაობა 2021 წლის 4 ოქტომბრიდან განაახლა.

საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები

- 2021 წელს განაახლა საბიბლიოთეკო ქსელებში გაწევრიანება:

EBSCO EP Package Elite –აერთიანებს 12 საერთაშორისო მონაცემთა ბაზას და მოიცავს ჟურნალებისა და საცნობარო გამოცემების უდიდეს კოლექციას; გამოირჩევა მოხერხებული და ეფექტური საძიებო სისტემით; ხელმისაწვდომია ინტერნეტის ქსელში ჩართული ნებისმიერი ავტორიზებული მომხმარებლისთვის.

EBSCO EP Package Elite - ში შემავალი ელექტრონული ბაზებია:

1. Academic Search Elite;
2. Business Source Elite;
3. Regional Business News;
4. Newspaper Source;
5. MasterFILE ELITE;
6. ERIC (the Education Resource Information Center);
7. GreenFILE;
8. Library Information Science & Technology Abstracts (LISTA);
9. Medline;
10. Health Source: Consumer Edition +Nursing/Academic Edition);
11. AHFS Consumer Medication Information;
12. MasterFILE Reference eBook Collection.

- 2021 წლის იანვარში განახლდა ხელშეკრულება eIFL -თან, რომელიც მოიცავს შემდეგ ბაზებს :
 1. Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>);
 2. Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/>);
 3. SAGE Journals (<https://journals.sagepub.com>);
 4. IMechE Journals (<https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMEchE>);
 5. Royal Society Journals Collection (<https://royalsociety.org/journals/>);
 6. e-Duke Journals Scholarly Collection (<https://read.dukeupress.edu/>);
 7. Mathematical Sciences Publishers Journals (<https://msp.org/>);
 8. European Respiratory Journal (<https://erj.ersjournals.com/>);
 9. Open Book Publishers E-books (<https://www.openbookpublishers.com/>).

2021 წელს, განახლდა ხელშეკრულება სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან, რომელიც უზრუნველყოფს წვდომას Elsevier -ის სისტემასთან და აძლევს საშუალებას საქართველოში აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს/ცენტრებს, სრული დაფინანსებით ჰქონდეთ წვდომა ბაზებზე- **Scopus და Science Direct, Scival Funding** (Funding Institutional). აღნიშნული ბაზები მოიცავს უახლეს სამეცნიერო ლიტერატურას (სამეცნიერო სტატიები, წიგნები, აბსტრაქტები) კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობისთვის.

კონსორციუმის - „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის“ - მეშვეობით უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორებს აქვთ შესაძლებლობა ღია წვდომის სხვადასხვა ელექტრონულ რესურსში გამოაქვეყნონ პუბლიკაცია.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკა განთავსებულია ვებ მისამართზე <http://elibrary.ciu.edu.ge>. ის წარმოადგენს ორენოვან (ქართული, ინგლისური) ელექტრონულ ინტერნეტ რესურსს, მხოლოდ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის და პროფესორ-მასწავლებლებისთვის. სისტემაში ავტორიზაცია ხდება უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის - სახელი.გვარი@ciu.edu.ge საშუალებით. ელექტრონულ ბიბლიოთეკაში წიგნები კატეგორიზებულია სასწავლო პროგრამების მიხედვით. ბიბლიოთეკა შეიცავს სხვადასხვა ენოვან სახელმძღვანელოებს. წიგნების განთავსება აღნიშნულ

რესურსზე ხდება მხოლოდ ავტორთან შეთანხმებით. ამავე შეთანხმებით წყდება, სახელმძღვანელო იყოს მხოლოდ „კითხვადი“, თუ მომხმარებელს შეეძლოს მისი გადმოწერა pdf ფორმატში.

ელექტრონული ბიბლიოთეკა წვდომადია როგორც უნივერსიტეტის შიდა, ასევე გარე ქსელშიც მხოლოდ რეგისტრირებული მომხმარებლებისთვის, ამდენად ის წარმოადგენს მეტად სასარგებლო რესურსს სწავლების პროცესში როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პროფესორ-მასწავლებლებისთვის. 2021 სასწავლო წლის ბოლოს ელექტრონულ ბიბლიოთეკაში განთავსებულია 400 სახელმძღვანელო (ავტორის ნებართვით ან ელექტრონული წიგნის შესყიდვის დოკუმენტით), რომელსაც ყოველდღიურად იყენებენ სტუდენტები ლექციების მოსამზადებლად.

2021 სასწავლო წელს, პანდემიიდან გამომდინარე, ბიბლიოთეკის რესურსების გამოყენება ხდებოდა ძირითადად ელექტრონულ ფორმატში - ელექტრონული ბიბლიოთეკის თუ კორპორატიული მეილის დახმარებით ბიბლიოთეკარები უზრუნველნიდნენ მოთხოვნილ წიგნს/წიგნის თავს ადრესატს. 2021 წელს ბიბლიოთეკის კორპორატიული მეილის საშუალებით პასუხი გაეცა 2300 მოთხოვნას. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიის საპრევენციო წესების დაცვით ბიბლიოთეკიდან 117 მომხმარებელზე გაცემულია 276 წიგნი.

2021 წელს ბიბლიოთეკარები მონაწილეობდნენ შემდეგ ტრენინგებსა და ღონისძიებებში:

- ✓ ღია მეცნიერებასთან დაკავშირებული ღონისძიება;
- ✓ ტრენინგი - „ელექტრონული მონაცემთა ბაზები და მებნის მექანიზმები“;
- ✓ ტრენინგი - „საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზების მებნის მექანიზმი და დისტანციური წვდომა“ (2021 წლის მდგომარეობით, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს Ebsco EP Package Elite-ის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე წვდომის უფლება აქვს. EBSCO EP Package Elite-ში შემავალი ელექტრონული ბაზების დასახელება: Academic Search Elite; Business Source Elite; Regional Business News; MasterFILE ELITE; ERIC (the Education Resource Information Center); GreenFILE; Library Information Science & Technology Abstracts (LISTA); Medline; Health Source: Consumer Edition + Nursing/Academic Edition);
- ✓ ტრენინგი - „პლაგიატის პროგრამის მახასიათებლები და ნაშრომის დამუშავების წესი“;
- ✓ ტრენინგი - „საერთაშორისო ბაზების გამოყენება კვლევის პროცესში“;
- ✓ ტრენინგი - „ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსი“.

ანტიპლაგიატის პროგრამა

2021 ისევ განახლდა ხელშეკრულება ანტიპლაგიატის სისტემაზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და ააიპ „საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017“ შორის, რომელიც უზრუნველყოფს „ანტიპლაგის სისტემის,“ წევრობას, მასალების შემოწმებას ანტიპლაგიატის სისტემაში და ნაშრომების ელექტრონულ არქივში (რეპოზიტორიუმში) განთავსებას.

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს 7 საგანმანათლებლო პროგრამა:

- ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი ზაზა ცოტნიაშვილი) - აქტიური სტუდენტი - 153;
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ალიკა გუჩუა) - აქტიური სტუდენტი - 206;
- მედიის კვლევების და მულტიმედია წარმოების სამაგისტრო პროგრამა (პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი ზაზა ცოტნიაშვილი) - აქტიური სტუდენტი - 13;
- საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა (პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი ვახტანგ მაისაია) - აქტიური სტუდენტი - 54;
- გლობალური პოლიტიკის და უსაფრთხოების კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა (პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი ვახტანგ მაისაია) - აქტიური სტუდენტი - 10;
- მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი ხათუნა კაჭარავა) - აქტიური სტუდენტი - 9;
- პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი თამარ კვიციანი) - აქტიური სტუდენტი - 35.

2021 წელს

- მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამას, როგორც ახალს, 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია;
- გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების ახალ, ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამას უნივერსიტეტის ავტორიზაციის დარჩენილი ვადით (2024 წლის 20 ნოემბრამდე) მიენიჭა ავტორიზაცია.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ დადებითად იქნა შეფასებული გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში და დასრულდა ადმინისტრაციული წარმოება.

2021 წელს განმეორებითი აკრედიტაციის მიზნით მომზადდა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილ იქნა:

1. ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა, სილაბუსები, თვითშეფასების ანგარიშები და თანმდევი დოკუმენტაცია;
2. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, სილაბუსები, თვითშეფასების ანგარიშები და თანმდევი დოკუმენტაცია.

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დაცულ იქნა 5 სადოქტორო დისერტაცია.

აკადემიური პერსონალი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი) ჯამურად შეადგენს 28-ს, აქედან:

აკადემიური პერსონალია - 19;

პროფესორი - 2;

ასოცირებული პროფესორი - 14;

ასისტენტი - 2.

აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 18-ს, აქედან:

აფილირებული პროფესორია - 2;

აფილირებული ასისტენტ-პროფესორი - 1;

აფილირებული ასისტენტი - 2.

სასწავლო პროცესში ჩართულია 9 მოწვეული პერსონალი.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

1 პროფესორი - აფილირებული; 6 ასოც. პროფ. (აქედან 4 აფილირებული), 1 აფილირებული ასისტენტ-პროფ., 3 აფილირებული ასისტენტი, 3 მოწვეული.

გლობალური პოლიტიკა და უსაფრთხოების კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა

1 პროფესორი - აფილირებული; 6 ასოც. პროფ. (აქედან 5 აფილირებული), 3 აფილირებული ასისტენტი, 3 მოწვეული.

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

3 პროფესორი - აფილირებული, 7 აფილირებული ასოც. პროფესორი, 3 მოწვეული.

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი 14 პროფესორი. მათ შორის:

პროფესორი - 3,

ასოცირებული პროფესორი - 11;

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს 13 მოწვეული პროფესორი.

ზემოაღნიშნული აკადემიური პერსონალიდან აფილირებულია 3 პროფესორი და 9 ასოცირებული პროფესორი.

მედიის კვლევებისა და მულტიმედიაწარმოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

2 აფილირებული პროფესორი, 7 ასოც. პროფესორი, აფილირებულია 6, 2 მოწვეული.

მასობრივი კომუნიკაციების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

აფილირებული 3 პროფესორი, 4 ასოც. პროფესორი და 2 მოწვეული.

2021 წელს ფაკულტეტზე ჩატარებული ღონისძიებები:

- საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია;
- მემორანდუმების გაფორმება პოლონურ, კერძოდ, პოლონიის უნივერსიტეტთან;
- მემორანდუმის გაფორმება „3 თებერვლის სახელობის უნივერსიტეტთან“ (არგენტინის რესპუბლიკა);
- მემორანდუმის გაფორმება ირანის ისლამური რესპუბლიკის კავკასიის კვლევების ინსტიტუტთან;
- შეიქმნა დებატების კლუბი;
- საერთაშორისო განათლებისა და მეცნიერების ცენტრთან ერთად განხორციელებული სასწავლო პროგრამის ფარგლებში შეიქმნა „ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური საფრთხეების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“;
- გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოს სტრატეგიული კვლევების ცენტრთან და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ ლევან მიქელაძის სახელობის სასწავლო-დიპლომატიურ ცენტრთან;
- დამყარდა თანამშრომლობა „გლობალიზაციის კვლევების ფონდთან“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა).

სამართლის ფაკულტეტი

სამართლის ფაკულტეტზე ფაკულტეტზე ფუნქციონირებს 3 საგანმანათლებლო პროგრამა:

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამის ხელმძღვანელი, სერგო ჭელიძე - ასოცირებული პროფესორი) - აქტიური სტუდენტი - 323;
- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამის ხელმძღვანელი - ლევან მოსახლიშვილი - ასოცირებული პროფესორი) - აქტიური სტუდენტი - 160;
- სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამის ხელმძღვანელი - მინდია უგრეხელიძე - პროფესორი, თანახელმძღვანელი, სერგო ჭელიძე - ასოცირებული პროფესორი) - აქტიური სტუდენტი - 32.

2021 წელს

- სამართლის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა 7 წლის ვადით განმეორებითი აკრედიტაცია;
- სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა 7 წლის ვადით განმეორებითი აკრედიტაცია.

აკადემიური პერსონალი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 21-ს (21 აფილირებული) - მათ შორის:

პროფესორი - 2;

ასოცირებული პროფესორი - 10;

ასისტენტ-პროფესორი - 4;

ასისტენტი -5;

პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 9-ს.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 17-ს (17 აფილირებული) - მათ შორის:

პროფესორი - 2;

ასოცირებული პროფესორი - 10;

ასისტენტ-პროფესორი - 4;

ასისტენტი -1;

პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 6-ს.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 19-ს (13 აფილირებული) - მათ შორის:

პროფესორი - 5;

ასოცირებული პროფესორი - 14;

პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 16-ს.

2021 წელს ფაკულტეტზე ჩატარებული ღონისძიებები:

- 2021 წლის 26 აპრილი - ონლაინ შეხვედრა იურისტ სალომე ჯოხაძესთან თემაზე: „სადაზღვევო სექტორის განვითარება და მარეგულირებელი ნორმები“;
- 2021 წლის 30 მაისი - საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა პროფესიული დღის აღსანიშნავად ონლაინშეხვედრა სტუდენტებთან თემაზე „კარიერა საქართველოს პროკურატურაში“;
- 2021 წლის 9-10 ივნისი - გაიმართა სამოქალაქო განათლების ცენტრისა და საქართველოს სამართლის ასოციაციის მიერ ორგანიზებული ონლაინ სალექციო კურსი „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო და საქართველო“;
- 2021 წლის 3 ნოემბერი - ონლაინ საჯარო ლექცია ადვოკატის პროფესიულ დღესთან დაკავშირებით;
- 2021 წლის 26 ნოემბერი - ონლაინ საჯარო ლექცია თემაზე „შემთხვევის ადგილის დათვალიერების, პრაქტიკული კურსი“;
- 2021 წლის 01 დეკემბერი - ონლაინ შეხვედრა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან;
- 2021 წლის 6-10 დეკემბერი - ბიზნეს სამართლის კვირეული;
- 2021 წლის 9 დეკემბერი - ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია Grant Thornton Georgia შორის;
- 2021 წლის 14 დეკემბერი - სამეცნიერო დისკუსია - „სამართალი და ბიზნესი: გამოწვევები და შესაძლებლობები“, რომელსაც კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პრაქტიკოსი იურისტები და საკონსულტაციო კომპანია „გრანთ თორნთონის“ წარმატებული თანამშრომლები უძღვებოდნენ;

- 2021 წლის 18-19 დეკემბერი - სხვადასხვა სკოლის აბიტურიენტებს შორის ონლაინ დებატები სამართლის მნიშვნელოვან საკითხებზე;
- 2021 წლის 22 დეკემბერი - შეხვედრა ადვოკატ დიმიტრი გაბუნიასთან. შეხვედრის თემა - „პროფესია ადვოკატი - წარმატების ფორმულა“;
- სამართლის ფაკულტეტის ჟურნალის - „იურიდიული მაცნე“ მე-4 ნომრის გამოცემა.

მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტი

ფაკულტეტზე ხორციელდება ორი საგანმანათლებლო პროგრამა:

1. ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამის ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ოლანი გოცირიძე, თანახელმძღვანელი პროფესორი დავით მალრაძე) - აქტიური სტუდენტი - 177.
2. ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამის ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ოლანი გოცირიძე) - აქტიური სტუდენტი - 49.

პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი

პროფესორი - 4

ასოცირებული პროფესორი - 19

ასისტენტ-პროფესორი -2

ასისტენტი -1

მოწვეული - 13

მიღწევები

2021 წელს ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს, პირველებს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, მიენიჭათ მევენახეობა და მეღვინეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, ნაცვლად აგრარული მეცნიერებების მაგისტრის ხარისხისა.

2021 წლის შედეგები :

- 2021 წლის დეკემბერში ქართლის ღვინოების კონკურსის შედეგები:
შავკაპიტო - ოქროს მედალი
თავკვერი - ბრინჯაოს მედალი
- 2021 წლის ოქტომბერში Ostrowiec-ში (პოლონეთი) გაიმართა მეღვინეობისა და ლუდის კულტურის პირველი ფესტივალი, სადაც კსუ-ს მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტს პერსონალური სივრცე დაეთმო ეთნო ოკამის პროდუქციის პრეზენტაციებისთვის;
- 2021 წლის აგვისტო - საეკლესიო ღვინოების ფესტივალი - სხვადასხვა ქვეყნის ელჩებთან წარდგენა;
- სტუდენტური ღვინოების წარდგენა პარტნიორი კომპანიის ბაზაზე;

- „ტრენინგი ღვინის კლუბისა“ და „ღვინის სოფლის“ ორგანიზებით - "განავითარე შენი ბიზნესი - იდეიდან დაფინანსებამდე". ფაკულტეტიდან მონაწილეობდა 3 სტუდენტი (პროგრამა განხორციელდა AFC – Agriculture and Finance Consultants მიერ. ENTAFI-ს პროგრამა ინიცირებულია ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ).

2021 წელს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რომლის ფარგლებშიც გეგმური საწარმოო პრაქტიკა უკვე გაიარა 20-მა სტუდენტმა, მომავალში მათი რიცხვი გაიზრდება.

საწარმოო პრაქტიკის ობიექტებია:

- შპს „მიჯ გრუპ“;
- საქართველოს ენოტურიზმის ასოციაცია;
- შპს „ეთნო ოკამი“;
- „შატო მუხრანი“;
- „ასკანელი ძმები“;
- „გლავსპირტ პრომი“.

ჩამოყალიბდა პარტნიორული ურთიერთობები, რაც ძირითადად გამოიხატა მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის სტუდენტების დასაქმებით (დასაქმდა 10 სტუდენტი)

- ✓ კორპორაცია ქართული ღვინო;
- ✓ GWS;
- ✓ ვინივერია;
- ✓ შპს „ქარვასლა“;
- ✓ შპს „ზაზანა“;
- ✓ შპს „მეიდან პლიუსი“;
- ✓ შპს „ღვინის ბირჟა“.

ინტერნაციონალიზაცია

- ESCUELA SUPERIOR DE ENOTURISMO DE CASTILLA Y LEÓN (ESE);
- Global Wine Tourism Organization (GWTO Academy).

საგრანტო პროექტები

USAID Industry-led Skills Development Program - მრეწველობის უნარების განვითარების პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული საგრანტო აქტივობა „უნარები ენოტურიზმისთვის“ (Skills for Enoutourism)

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გამარჯვებული მცირე გრანტები 2021 წლისათვის:



1. ვაზის იშვიათი ქართული ჯიშებისა და მათი ველური ნათესავების ამპელოგრაფიული აღწერა;
2. ქართული ტრადიციული ტექნოლოგიით დამზადებული ქვევრის ღვინის ანტიოქსიდანტური აქტივობის შესწავლა;
3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების გრანტი „საქართველოს ველური ვაზი: შესწავლა და დაცვა“ (2019-2022, NFR 18-18474).

ბიზნესის ფაკულტეტი

ბიზნესის ფაკულტეტზე 8 საგანმანათლებლო პროგრამა ფუნქციონირებს:

1. მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
3. ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
4. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
5. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
6. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
7. საერთაშორისო მარკეტინგის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
8. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

აქტიური სტუდენტების რაოდენობა ბაკალავრიატში - 378

- მენეჯმენტი - აქტიური - 116;
- ტურიზმი - აქტიური - 155;
- ფინანსები - აქტიური - 86;
- ბიზნესის ადმინისტრირება ინგლისურენოვანი - აქტიური - 21.

აქტიური სტუდენტების რაოდენობა მაგისტრატურაში - 74

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი - აქტიური - 35;
- საერთაშორისო მარკეტინგი - აქტიური - 39;

დოქტორანტურაში - აქტიური სტუდენტია 25.

აკადემიური პერსონალი

ბიზნესის ფაკულტეტზე მოქმედი პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობს:

- პროფესორი - 3;
- ასოცირებული პროფესორი - 32;
- ასისტენტი - 3;
- მოწვეული - 36.

2021 წელს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ დადებითად იქნა შეფასებული მენეჯმენტისა და ფინანსების საბაკალავრო პროგრამების არაგეგმური მონიტორინგის შედეგად უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი მასალები და აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნების საფუძველზე შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება.

2021 წელს განმეორებითი აკრედიტაციის მიზნით მომზადდა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილ იქნა:

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა, სილაბუსები, თვითშეფასების ანგარიშები და თანმდევი დოკუმენტაცია.

2021 წლის შედეგები:

- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტზე 2021 ნოემბერში განხორციელდა მენეჯმენტის ცვლილება;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის ბაზაზე, შეიქმნა/დაფუძნდა ბიზნესისა და ეკონომიკის კვლევების ცენტრი - CIU ბიზნესის ინსტიტუტი (**CIU Business Institute** - <http://ciubi.ciu.edu.ge>);
- CIU ბიზნესის ფაკულტეტზე სხვადასხვა დარგში წარმატებულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შეიქმნა ხუთი ლაბორატორია: **მეწარმეობისა და ინოვაციების** - მთავარი პარტნიორები: EXPORT DEVELOPMENT ASSN., Investme, **ფინანსური განათლების** - მთავარი პარტნიორი ფინედუ, დუალური განათლების - მთავარი პარტნიორი საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა, **მარკეტინგის** - მთავარი პარტნიორი ჯეპრა და ბიზნეს მედიის. აღნიშნული ლაბორატორიები იფუნქციონირებს CIU ბიზნესის ინსტიტუტის ფარგლებში და აქტიურად შეიმუშავებს სტუდენტების საჭიროებებზე მორგებულ სხვადასხვა ინიციატივას/პროექტს;
- შეიქმნა პირველი SDG ლაბორატორიის კონცეფცია საქართველოში;
- 2021 წლის ნოემბრიდან თანამშრომლობა დაიწყო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან - WORLD BANK GROUP – Open Learning Campus; IMF INSTITUTE Microlearning – Come and Grow; ADB Institute; European Bank for Reconstruction and Development – KnowHowAcademy;
- დაკომპლექტდა სტუდენტური მრჩეველთა საბჭო;
- 2021 წლის დეკემბერში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელის (INFE) აფილირებული წევრი გახდა;
- შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის შორენა ქურდაძის პროექტი - „კულტურული და გეოგრაფიული დისტანციის გავლენა საერთაშორისო შესაძლებლობების იდენტიფიკაციაზე ქართულ მცირე და საშუალო საწარმოებში“.

2021 წლის ჭრილში პარტნიორთა ჯამური რაოდენობა შეადგენს 37-ს.

საერთაშორისო პარტნიორობა:

1. UN DESA;
2. OECD – INFE;
3. Wharton Energy Network;

4. WORLD ECONOMIC FORUM;
5. ECONOMIST INTELLIGENCE CORPORATE NETWORK;
6. The Economist EDUCATION FOUNDATION;
7. MSM / MAASTRICHT SCHOOL OF MANAGEMENT;
8. Institute of New Economic Thinking;
9. Harvard Business School Online Community;
10. Harvard Alumni ENTREPRENEURS;
11. HCSV - Harvard Club Silicon Valley;
12. Harvard Business Publishing Education;
13. OXFORD UNIVERSITY STRATEGIC STUDIES GROUP;
14. CUCS – Cambridge University Consulting Society;
15. OXFORD UNIVERSITY MEDIA SOCIETY;
16. OXFORD ECONOMICS SOCIETY;
17. CAMBRIDGE UNIVERSITY SCIENTIFIC SOCIETY;
18. FitchRatings;
19. ATLAS NETWORK;
20. Bloomberg for Education;
21. MOODY'S ANALYTICS;
22. ONE PLANET NETWORK – SDG 12 HUB.

ადგილობრივი პარტნიორობა:

1. ბლუმბერგ ბიზნეს ფორმულა;
2. კომერსანტი;
3. ფინედუ;
4. საქართველოს ეროვნული ბანკი;
5. BPI;
6. ექსპორტის განვითარების ასოციაცია;
7. Investme.ge;
8. ჯეპრა;
9. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა;
10. საქპატენტი;
11. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო;
12. AVIANEWS';
13. სახელმწიფო კონკურენციის სააგენტო;
14. ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
15. გაეროს მუდმივი წარმომადგენლობა საქართველოში UN RCO.

მედიცინის ფაკულტეტი

მედიცინის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს შემდეგი აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები:

1. მედიცინის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;
2. მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;
3. სტომატოლოგიის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;
4. სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;

- 5. ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- 6. თერაპიული სტომატოლოგიის სარეზიდენტო პროგრამა.

სტუდენტთა საერთო რაოდენობა ქართულენოვან პროგრამებზე - 938

მედიცინის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა - 636

სტომატოლოგიის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა - 188

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა - 114

საერთო რაოდენობა ინგლისურენოვან პროგრამებზე - 1493

მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა - 974

სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა - 519

მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი სულ: 81

მათ შორის:

პროფესორი - 14;

ასოცირებული პროფესორი - 39;

ასისტენტ-პროფესორი - 24;

ასისტენტი - 4.

2021 წლის შედეგები

1. მედიცინის ქართულენოვან პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა განმეორებითი აკრედიტაცია;
2. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ დადებითად იქნა შეფასებული სტომატოლოგიის ქართულენოვანი პროგრამის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში და დასრულდა ადმინისტრაციული წარმოება.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ დადებითად იქნა შეფასებული ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის გეგმური მონიტორინგის შედეგად უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი მასალები და აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნების საფუძველზე შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება.

მედიცინის პროგრამებით გათვალისწინებული კლინიკური სასწავლო კურსების ეფექტურად განხორციელების მიზნით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა 2 ახალ კლინიკასთან:

- ✓ შპს ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალი კლინიკა;
- ✓ მრავალპროფილური კლინიკა „ნიუ-ჰოსპიტალსი“.

განახლდა მემორანდუმი და გადაიხედა პირობები შპს აკად. ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრთან.

ჩატარდა საჯარო ლექციები თემაზე:

- „კანი და ლეიშმანიოზი“, სპიკერი ფახოდ მაჰმუდოვი - ბუხარის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი);
- ეუსტაქიო აგრიქოლას საჯარო ლექციათა ციკლი - „გულის სარქვლოვანი დაავადებები“;
- მონიკა ბორეკის საჯარო ლექცია - „რატომ არის ქართული ღვინო ჯანსაღი – ანტიოქსიდანტების როლი და მნიშვნელობა მედიცინაში“.